



ანგარიში
მესამე კვარტალი. 2017 წ.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია..... 3 გვ.

ექსპორტი 9 გვ.

რთველი 2017..... 10 გვ.

ქართული ვაზისა და კულტურის კვლევა 11 გვ.

ვენახების კადასტრი 12 გვ.

ლაბორატორიული შემოწმება 13 გვ.






სერტიფიცირება.....14 გვ.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება14 გვ.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ასევე მელვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

-  მარკეტინგი და პოპულარიზაცია;
-  ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
-  რთველი 2017;
-  კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე და ღვინის ბრენდებზე; სამომხმარებლო ბაზრის დაცვა დაბალხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისგან;
-  მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგთან დაკავშირებული სხვა მარკეტინგული და ადმინისტრაციული ღონისძიებები.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ღონისძიებები გაიმართა საქართველოში და მსოფლიოს 8 ქვეყანაში: ჩინეთი/ჰონგ-კონგი, სინგაპური, საფრანგეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, პოლონეთი და აშშ.

ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონელი პროფესიონალებისთვის



ქალაქ კრაკოვში, პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ, ისტორიულ ღვინის ქარხანაში “Winnica Srebrna Góra“-ში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია “Georgian wines for the summer“ გაიმართა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Vinisfera“-ს ხელმძღვანელი მარიუმ კაპჩინსკი უძღვებოდა.

ქართული ღვინის პრეზენტაციას ადგილობრივი იმპორტიორები, ღვინის მაღაზიებისა და რესტორნების წარმომადგენლები, ღვინის ჟურნალისტები და ბლოგერები დაესწრნენ. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ შემდეგი კომპანიების ღვინოები: „მარანი“, „ბესინი“, „ვაინმენი“, „შუხმანის ღვინოები“, „შატო მუხრანი“, „ჯეველი“, „ქინძმარაულის მარანი“, „ვაზიანი“, „მანდილი“, „კორპორაცია ქინძმარაული“ და „კახური ღვინის მარანი“.

ამერიკელი სომელიეების ვიზიტი

ამერიკელი სომელიეების ჯგუფი საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია, რომლის ფარგლებშიც ღვინის პროფესიონალებმა ღვინის საწარმოები სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში მოინახულეს. ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანია „Marq Energie“-ის მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson) ხელმძღვანელობდა. ამერიკელ სომელიეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობდნენ შემდეგი კომპანიების ღვინოებს: „იაგოს ღვინოები“, „შატო მუხრანი“, „რამაზ ნიკოლაძის

ღვინოები“, „საოჯახო მარანი - ოდა“, „ვინო მარტვილე“, „ვარციხის მარანი“, „მეღვინეობა ხარება - იმერეთი“, „თელავის ღვინის მარანი“, „ჭოტიაშვილის ღვინის მარანი“, „შუხმანის ღვინოები“, „ორგო/ვიტა ვინეა“, „შალაურის მარანი“, „შუმი“, „ჩელთი“, „ფაფრის ველი“, „ჯონი ოქრო“, „ხობხის ცრემლები“, „ასკანელი ძმები“, „შავნაბადა“, „ლუკასი“, ასევე ეწვივნენ მექვევრე ზაზა კბილაშვილს.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ამსტერდამში

ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი სომელიეები, ჟურნალისტები და ღვინის მწერლები დაესწრნენ. ღვინის მოხმარების საერთაშორისო ტენდენციებსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, ჰოლანდიის ბაზარი ქართული ღვინის ექსპორტისთვის საკმაოდ პერსპექტიულია. ამსტერდამში გამართულ დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების ღვინოები: „გოცას ღვინოები“, „თელავის ღვინის მარანი“, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „ბაგრატიონი 1882“, „კონჭო და კომპანია“ და „თბილღვინო“.

ღვინის პროფესიონალების ვიზიტი აშშ-დან



ამერიკელი სომელიეებისა და იმპორტიორების ჯგუფი საქართველოს ხუთდღიანი ვიზიტით ეწვია, რომლის ფარგლებშიც სტუმრებმა ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მოინახულეს. ღვინის პროფესიონალების შვიდკაციან ჯგუფს (Lisa Granik, Aimee Suzanne Lasseigne New, Andrea Edith Morris, David Vincent Foss, Edward Anthony Morello, LiLy Echo Peachin, Jeffrey W Harding) ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანია „TastingWorks“-ის მმართველი, ცნობილი ღვინის მაგისტრი ლიზა გრანიკი

ხელმძღვანელობდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტურის ფარგლებში ამერიკელ პროფესიონალებმა დააგემოვნეს შემდეგი კომპანიების ღვინოები: „ალაფიანი“, „ბატონო“, „გიუანი“, „ორგო/თელედა“, „მოსმიერი“, „საწნახელი“, „შალაური“, „მარანული“, „ფაფრის

ველი“, „ჩვენი ღვინო“, „მეღვინეობა .ნიკა“, „კახა ბერიშვილის ღვინო“, „მეღვინეობა დანიელი“, „ნაოტრები“, „იაგოს ღვინო“, „მატო მუხრანი“, „ლაგვინარი“ და „გოცას ღვინოები“.

ქვევრის ღვინის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმი

ქვევრის ღვინის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემიაში გაიმართა ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა მოხსენება წაიკითხა თემაზე: ქვევრის ღვინო და საქართველოს განახლებული კანონმდებლობა. იყალთოს ქვევრის სკოლა-აკადემიაში პირველი „ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი“ ამავე სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარდა. კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება იყალთოს სამონასტრო კომპლექსში გაიმართა. კონკურსზე წარმოდგენილი 150 ღვინის ნიმუშიდან 22-მა ოქროს, 20-მა ვერცხლის და 29-მ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. კონკურსში საქართველოს გარდა ღვინოები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან იყო წარმოდგენილი (საფრანგეთი, სერბეთი, სლოვენია და სხვა).

ქართული ღვინის ფესტივალი აზიის ქვეყნებში



„ქართული ღვინის ფესტივალი“ სინგაპურში და ჩინეთის ქალაქებში - შანხაისა და ჰონგ-კონგში გაიმართა. ფესტივალის ორგანიზატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Meiburg Wine Media“-ს მმართველი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი იყო. „ქართული ღვინის ფესტივალს“ ადგილობრივი ღვინის იმპორტიორები, მაგისტრები, მედიის, რესტორნებისა და სასტუმროების ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც დებრა მეიბურგი აცხადებს, აზიის ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სინგაპურში, სადაც ქართული ღვინის დეგუსტაცია-წარდგენა მსგავსი ფორმით პირველად მოეწყო, ფესტივალი წარმატებული აღმოჩნდა. მისი თქმით, სინგაპურელი იმპორტიორების უმრავლესობა უკვე დაინტერესდა ქართული ღვინით.

ღვინის იმპორტიორებისა და ჟურნალისტების ვიზიტი ჩინეთიდან

ღვინის იმპორტიორებისა და ჟურნალისტების ჯგუფი ჩინეთიდან ერთვკირიანი ვიზიტით საქართველოს ეწვია, რომლის ფარგლებშიც სტუმრებმა ღვინის მარნები და კომპანიები ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში მოინახულეს. 13-კაციან ჯგუფს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტარქტორი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი ხელმძღვანელობდა. ღვინის იმპორტიორები ვიზიტის პირველ დღეს თბილისში ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდნენ. კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა წარედგინათ საკუთარი პროდუქცია იმპორტიორებისთვის. ვიზიტის ფარგლებში მათ მოინახულეს შემდეგი ღვინის მარნების და კომპანიები: „შატო მუხრანი“, „ბადაგონი“, „ვაზიანი კომპანი“, GWS, „შალაურის ღვინის მარანი“, „კახური“, „ჭოტიაშვილის ღვინის მარანი“, „თელავის ღვინის მარანი“, „ფაფარი ველი“, „მარანი ჩუბინი“, „მეღვინეობა ხარება“, „კახური ღვინის მარანი“, „ამირან ვეფხვაძის ღვინის მარანი“, „არჩილ გუნიავას ღვინის მარანი“, „ვარციხის მარანი“, „რამაზ ნიკოლაძის ღვინოები“, „ბაიას ღვინო“, „საოჯახო მარანი - ოდა“.

გამოფენა ბორდოში - „საქართველო ღვინის აკვანი“



ქართული ქვევრი საფრანგეთის ქალაქ ბორდოს ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის მუდმივი ექსპოზიციის ნაწილი გახდა. "იუნესკოს" მიერ, „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის" მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებასთან დაკავშირებით, ბორდოში Cité des Civilisations Du Vin-ის ცენტრალურ შესასვლელში დიდი ზომის ქვევრი განთავსდა. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი

კვირიკაშვილი დაესწრო, რომელმაც ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში გამოფენა - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი" გახსნა. საქართველო არის პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელმაც მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელია.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი

დიდი ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი (Sarah Abbott), ქართული ღვინით დაინტერესებულ ჟურნალისტებთან ერთად, საქართველოს სტუმრობდა. ღვინის ტურის ფარგლებში ბრიტანელი პროფესიონალები ღვინის მარნებსა და კომპანიებს კახეთში გაეცნენ. მათ შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინათ შემდეგი კომპანიების ღვინოები: „თელავის ღვინის მარანი“, GWS, „მუკადო ვაინს“, „ალავერდის მონასტრის მარანი“, „ვიტა ვინეა“, „ფაფარი ველი“, „კახა ჭოტიაშვილის მარანი“, „ხოხბის ცრემლები“. კახეთში გამგზავრებამდე, სარა ებოტი ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს თბილისში შეხვდა. მან შეხვედრის მონაწილეებს დიდ ბრიტანეთში ღვინის საფასო პოლიტიკა, ღვინის შეფუთვასა და ხარისხთან დაკავშირებული საკითხები გააცნო, რაც ქართული ღვინის ამ ბაზარზე დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ამერიკელი იმპორტიორებისა და პროფესიონალების ვიზიტი

ამერიკელი ღვინის პროფესიონალები საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვივნენ. სტუმრებმა ღვინის კომპანიები და მარნები სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში მოინახულეს, სადაც გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს, დააგემოვნეს ევროპული და ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები. ღვინის პროფესიონალების ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც სომელიეები, ღვინის მწერლები და იმპორტიორები შედიოდნენ, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანია „მარქ ენერჯის“ (Marq Energie) მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson) ხელმძღვანელობდა.

ამერიკელ პროფესიონალებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ შემდეგი კომპანიების ღვინოებს: „ბაგრატიონი 1882“, „მატო მუხრანი“, „ნიკოლაძეების მარანი“, „არჩილ გუნიავას ღვინის მარანი“, „ამირან ვეფხვაძის ღვინოები“, „გაიოზ სოფრომაძის მარანი“, „ვარციხის მარანი“, „ბაიას ღვინო“, „ოდა“, „ვინო მარტვილე“, „თელავის ღვინის მარანი“, „შუხმანის ღვინოები“, „ფაფარი ველი“, „ჭოტიაშვილის მარანი“, „მუკადო ვაინსი“, „ხოხბის ცრემლები“, „შუმი“, „ლუკასი“, „ლაგვინარი“, „იაგოს ღვინო“, ასევე ეწვივნენ მექვევრე ზაზა კვიციანიშვილს და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჯიდაურაში.



საქართველოს ჰოლანდიელი სომელიეების ჯგუფი სტუმრობდა, რომლის წევრების შეფასებით, ქართულ ღვინოს ჰოლანდიის ბაზარზე ექსპორტის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ჰოლანდიელმა სტუმრებმა ღვინის კომპანიები თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში მოინახულეს.

ჰოლანდიის წლის საუკეთესო სომელიეს, ნილს ვან ოვერმეიერის (Niels Van Overmeire) შეფასებით, ქართული ღვინის ექსპორტს ჰოლანდიის ბაზარზე რამდენიმე კომპანია უკვე აწარმოებს, თუმცა პოტენციალი უფრო დიდია. ჰოლანდიელ სომელიეებს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდნენ შემდეგი კომპანიების ღვინოებს: „ერისთავის ქვევრის ღვინო“, „ბოლნური“, „გოცას ღვინო“, „თბილღვინო“, „შუხმანის ღვინოები“, „თელავის ღვინის მარანი“, „ფაფარი ველი“, „ხობზის ცრემლები“ და „მოსმიერი“.

ქართული ღვინის კვირეული

ქართული ღვინის კვირეული ქალაქ მარნეულის ცენტრში “ქართული ღვინის ფესტივალით” გაიხსნა. მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ კერაში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, „ქართული ღვინის ფესტივალი“ აღინიშნა. 1 ოქტომბერს თბილისის N1 ღვინის ქარხანაში, ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე 2017“ გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი 40-მდე ღვინის მარნის 200-მდე დასახელების ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა ათასობით სტუმარს შეეძლო. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის საუკეთესო ღვინოები, გასაუბრებოდნენ ერთმანეთს და მიეღოთ მარნების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, შეეძინათ ღვინოები. კვირეულის ფარგლებში ასევე იგეგმება: 5 ოქტომბერი - ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზია-ბარში „8 000 მოსავალი“ გაიმართება დოკუმენტური ფილმის ჩვენება ბიომეღვინეობის გაერთიანება „თემი“-ის საქმიანობის შესახებ. 6 ოქტომბერი - გურჯაანში, ახტალის პარკში პირველად გაიმართება "გურჯაანის ღვინის ფესტივალი". წარმოდგენილი იქნება, როგორც გლეხის მიერ ქვევრში დაყენებული, ასევე 50-ზე მეტი დიდი და მცირე მარნების მიერ

წარმოებული ღვინო. 7 ოქტომბერი ქალაქ თელავში, ღვინისა ფესტივალი „თელავინო“ მეოთხედ აღინიშნება. საკუთარ პროდუქციას წარმოადგენენ როგორც ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანიები, ასევე მცირე, საოჯახო მარნები. სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დააგემოვნონ სხვადასხვა სახეობის ღვინო, ჭაჭა და სხვა ალკოჰოლური სასმელები. 7-8 ოქტომბერი - თბილისობის ფარგლებში, რიყის პარკში განთავსდება „შემოდგომის ნობათის“ გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იქნება 15-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია. 8 ოქტომბერი - თბილისი. საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული „ქართული ღვინის მე-4 ეროვნული კონკურსის“ გამარჯვებული ღვინოების დაჯილდოვება. საქართველოს სომელიეთა ასოციაცია უკვე მეოთხე წელია, ატარებს „ქართული ღვინის ეროვნულ კონკურს“-ს, რომლის მიზანია, გამოავლინოს საქართველოში წარმოებულ ღვინოებს შორის საუკეთესოები. კონკურსში, ტრადიციულად, მონაწილეობს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა საწარმო, მათ შორის - მცირე მარნებიც. კონკურსის პროფესიული ჟიურის წევრები არიან ენოლოგები და სომელიეები, ხოლო „სახალხო ჟიური“-ში მოწვეული არიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეები. 8 ოქტომბერი, თბილისი - „ღვინის ტურიზმის ასოციაცია“ ღვინის მაღაზია-ბარში „პოლიფონია“ გამართავს ლექციას და ღვინის დეგუსტაციას სომელიეებისთვის, ღვინის პროფესიონალებისა და ღვინის გიდებისთვის.

ექსპორტი



2017 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 63%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 44% (5537261), რუსეთი - 95% (33243157), უკრაინა - 54%(5322683), პოლონეთი - 14% (1869852), ლატვია - 36% (1141778), ბელარუსი - 34% (1054994), აშშ - 81% (346398), გერმანია - 28% (286156), ისრაელი - 305% (170834), მონღოლეთი - 182% (112710), საფრანგეთი - 321% (96790), აზერბაიჯანი 102% (102 342) და სხვა.

ექსპორტორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (33243157), ჩინეთი (5537261), უკრაინა (5322683), პოლონეთი (1869852) და ყაზახეთი (2044143).

ამასთან, მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 11 354 403 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 89%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 25 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 84%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 147 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 131% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 439,3 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 54% შეადგინა.

რთველი 2017

რთველის საკოორდინაციო შტაბი თელავში 24 აგვისტოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა. შტაბის წევრები ღვინის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის ხელმძღვანელობით.

მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით (ღვინის ექსპორტის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, გაფართოებული ღვინის საწარმოები, იაფი აგროკრედიტებისა და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა), კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ხარისხიან, კონდიციურულ ყურძენზე სუბსიდიის გაცემის საჭიროება არ არსებობდა და შესაბამისად მთავრობის განკარგულების თანახმად, აღარ გაიცემოდა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით

35 თეთრს მიიღებენ. დაცული ადგილწარმოშობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სუბსიდია შენარჩუნდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე - 1კგ-ზე გაიცემა 2 ლარი.

1 ოქტომბრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში 100 ათასამდე ტონა ყურძენი. მევენახეების შემოსავლებმა რთველის დაწყებიდან 115 მლნ ლარს მიაღწია. მთლიანი გადამამუშავებული მოსავლიდან 45,3 ათასი ტონა რქაწითელი, 47,2 ათასი ტონა საფერავი, 3 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: ყვარელში გადამამუშავებულია - 31,9 ათასი ტონა, გურჯაანში - 27,7 ათასი ტონა, თელავში - 20 ათასი ტონა, სიღნაღში - 8,8 ათასი ტონა, ლაგოდეხში - 3,1 ათასი ტონა, დედოფლისწყაროში - 2,4 ათასი ტონა, ახმეტაში - 3,1 ათასი ტონა და საგარეჯოში - 4,9 ათასი ტონა. რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირდა 228 კომპანია, მათგან რთველის პროცესში ჩართული იყო 157 კომპანია. ყურძენი კომპანიებს 12 900 ათასმა მევენახემ ჩააბარა. ყურძნის ფასის დადგენა მოხდა ხარისხისა და წარმომავლობის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე (რქაწითელის ფასი 70-85 თეთრი, საფერავის საშუალო ფასი - 1.50-1.70 ლარი). ყურძენი სრულად აითვისა კერძო სექტორმა - მხოლოდ 2,5%-მდე გადაამუშავა სახელმწიფო საწარმო „აკურამ“, ანუ შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები რთველზე. გასულ წლებში ეს მაჩვენებელი 30-50%-ის ფარგლებში იყო. რთველი ჩატარდა ორგანიზებულად და არც ერთ მევენახეს არ შექმნია ყურძნის დაბინავების პრობლემა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი

სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტი 2014 წელს დაიწყო, რომლის განხორციელება მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმოჩენას, მისი ისტორიის უწყვეტობის აღდგენას, მდიდარი მემკვიდრეობის ჩვენებას ქართველი და უცხოური ინსტიტუტებისა და მკვლევარების ერთობლივი კვლევების შედეგად.

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

• საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაიწყო არქეობოტანიკური და პალინოლოგიური ლაბორატორიული კვლევები 1) „მულავერის კულტურის“ (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული)

არქეოლოგიურ ძეგლებზე სახელწოდებით „გადაჭრილ გორა“ და „შულავერის გორა“ 2017 წლის მაისი - ივნისის თვეებში მოპოვებულ პალეობოტანიკურ მასალაზე, რომელიც აღებული იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კანადის ტორონტოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ერთობლივი არქეოლოგიურ გათხრების დროს; 2) „დედოფლის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე შუა და გვიანბრინჯაოს ხანის და ენეოლითური ხანის ფენებიდან მოპოვებული პალეოეთნობოტანიკურ მასალაზე.

•სოფლის მურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ჯიდაურას ველური ვაზის კოლექციაში გაგრძელდა იქ არსებული ფორმების (25 ფორმა) ამპელოგრაფიული აღწერა და მათი ფენოლოგიური განვითარების ფაზების აღრიცხვა. სექტემბერში დამზადდა ველური ვაზის ღვინო მომავალი კვლევებისათვის.

•ორგანიზებული იყო ორი ექსპედიცია საქართველოს ველური ვაზის შესწავლის მიზნით სამეგრელოში, იმერეთსა და კახეთში (გურჯაანის რაიონი). შედეგად, აღმოჩენდა 4 ახალი პოპულაცია. ამ პოპულაციებიდან აღწერილი და ფოტოდოკუმენტირებული იქნა 17 მცენარე: მათი ჰაბიტატი, გეოგრაფიული მდებარეობა GIS კოორდინატებით, საყრდენი მცენარე, თანამდები მცენარეული საფარი და შეგროვებული იქნა ნიმუშები ჰერბარიუმის დასამზადებლად.

•პროფ. პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით პროექტის მონაწილე მკვლევარებმა დაასრულეს ერთობლივი სამეცნიერო სტატია ნეოლითური პერიოდის საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ სათაურით Early Neolithic Wine of Georgia in the South Caucasus და გადასცეს გამოსაქვეყნებლად ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალს Proceedings of the National Academy of Sciences of the USA.

•პროექტში მოწვეული იყო ორი იტალიელი ღვინის ექსპერტი, რომლებიც განახორციელებენ ქართული ტრადიციული ვაზის ჯიშებისაგან დამზადებული ღვინოების ორგანოლექტიკურ დახასიათებას ქართველ ექსპერტებთან ერთად მათი სენსორული პროფილების შედგენის მიზნით.

2017 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება. პროგრამა მოიცავს: ვენახების ფართობების აღრიცხვას, ორთოფოტოების დამზადებას, ვენახებისა და მევენახეთა რეგისტრაციას და პასპორტიზაციას, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტებას, მევენახეთა და მევენახეობა-მელვინეობის სექტორის სუბიექტების საანკეტო მონაცემების შეგროვებას და ა.შ.

2017 წლის III კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

სატენდერო კონკურსის მიერ გამოვლენილმა კომპანია „რუკა მაპინგმა“ შეასრულა ახმეტის მუნიციპალიტეტში საკადასტრო სამუშაოები - ორთოფოტოების გადაღება, საკადასტრო რუკების მომზადება, საანკეტო ინფორმაციის შეკრება მევენახეთა შესახებ, ვენახების იდენტიფიკაცია და ვექტორიზაცია.

ახმეტის მუნიციპალიტეტში აღირიცხა 1817,2 ჰექტარი ვენახი და შეკრებილია ინფორმაცია მევენახეთა შესახებ.

ამჟამად მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს შემოწმება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლების და ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტების სოფლების რწმუნებულების მონაწილეობით გადამოწმდა და დაზუსტდა აღნიშნული მუნიციპალიტეტების ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზები.

ლაბორატორიული შემოწმება

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების მიზნით, 27 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 1001 ნიმუში, მათგან 79 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი 922 დადებითად.

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 1950 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

VI-1 ფორმის სერტიფიკატი / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 1057 ცალი (158 განაცხადი); შესაბამისობის სერტიფიკატი 1792 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემულია სულ 2849 სერტიფიკატი.

ინსპექტირება

საანგარიშო პერიოდში საექსპორტო ადგილწარმოშობის, სუფრის ღვინოებისა და ღვინის ბრენდის (ლოტთან მიმართებაში) სახელმწიფო კონტროლი 7 კომპანიაში განხორციელდა. საექსპორტო პარტიებიდან შემოწმდა 48 ნიმუში. ინსპექტირების შედეგად შემოწმებულ კომპანიებში ღვინოები აკმაყოფილებდა ლაბორატორიის მიერ ლოტზე გაცემულ ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებს, რის შედეგად აღნიშნულ ღვინოებზე გაიცა შესაბამისობის სერტიფიკატები.